მოსკოვში წარმოადგენენ მე-17 საუკუნეში კიევის სამიტროპოლიტოს რუსეთის ეკლესიასთან შეერთების დოკუმენტების კრებულს



მოსკოვში წარმოადგენენ მე-17 საუკუნეში კიევის სამიტროპოლიტოს რუსეთის ეკლესიასთან შეერთების დოკუმენტების კრებულს

16 სექტემბერს, 17:00 საათზე, ქრისტე მაცხოვრის საკათედრო ტაძრის სერგის დარბაზში, ბიბლიური და საღვთისმეტყველო სინოდალური კომისიის კონფერენციის – „მსოფლიო მართლმადიდებლობა: პირველობა და კრებსითობა მართლმადიდებლური მოძღვრების შუქზე“ – ფარგლებში, გაიმართება პრეზენტაცია დოკუმენტების კრებულისა: „კიევის სამიტროპოლიტოს რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან შეერთება. 1676-1686 წწ. კვლევები და დოკუმენტები“.

საეკლესიო-სამეცნიერო ცენტრის „მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“ მიერ მომზადებული კრებულის გამოცემა, გახდა ისტორიული და კანონიკური პასუხი კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს განცხადებასთან დაკავშირებით, 1686 წლის კიევის სამიტროპოლიტოს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციაში გადასვლასთან დაკავშირებული სინოდალური გადაწყვეტილების „გაუქმებისა“ და განხეთქილებაში მყოფი ფორმირების – „მეუ“-ს„ავტოკეფალიის აღიარების“ შესახებ. კრებულში 246 დოკუმენტია წარმოდგენილი, რომელთაგან 200 არასოდეს გამოქვეყნებულა. ყველა დოკუმენტი საგულდაგულოდ არის შესწავლილი და, აუცილებლობის შესაბამისად, სამეცნიერო კომენტარებით არის აღჭურვილი, ხოლო სადაც ეს საჭიროა, ახალი თარგმანებიც არის გაკეთებული თანამედროვე რუსულ ენაზე.

გამოცემისა და მასში შემავალი დოკუმენტების შესახებ, ასევე იმ სიტუაციაზე, რომელიც მსოფლიო მართლმადიდებლობაში ჩამოყალიბდა კონსტანტინეპოლის პატრიარქის უკრაინაში ანტიკანონიკურ შეჭრასთან დაკავშირებით, მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარე, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ილარიონი ისაუბრებს.

პრეზენტაციის მონაწილეების წინაშე ასევე გამოვლენ საეკლესიო-სამეცნიერო ცენტრის „მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“ ხელმძღვანელი ს.ლ. კრავეცი და სხვა რიგი მომხსენებლები.

ნაშრომი – „კიევის სამიტროპოლიტოს რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან შეერთება. 1676-1686 წწ. კვლევები და დოკუმენტები“, 1676-1686 წლების საარქივო დოკუმენტების ყველაზე სრულყოფილ კრებულს წარმოადგენს, რომელიც ეხება კიევის სამიტროპოლიტოს რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან შეერთების წინაისტორიას, კონტექსტსა და გარემოებებს.

„მართლმადიდებლური ენციკლოპედია“ სამუშაოს 2017 წლის შემოდგომაზე შეუდგა. დროის უმეტესი ნაწილი არაერთ რუსულ არქივში მასალების მოძიებასა და სისტემატირებაზე დაიხარჯა: უძველესი აქტების რუსეთის სახელმწიფო არქივში, ძველი ხელნაწერების სახელმწიფო ისტორიის მუზეუმებში, საკნტ-პეტერბურგის რუსეთის ეროვნულ ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში და სხვა.

ამ გამოცემის მუშაობაში წამყვანი რუსი მეცნიერები მონაწილეობდნენ. ავტორთა გუნდს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი ბ.ნ. ფლორი ხელმძღვანელობდა. მასთან ერთად კრებულზე მუშაობდნენ: ფილოლოგიის დოქტორი დ. ე. აფინოგენოვი, ღვთისმეტყველების კანდიდატი მღვდელი მიქაელ ჟელტოვი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატები კ.ა. კოჩეგაროვი, ნ.პ. ჩესნოკოვა, მ.რ. იაფაროვა.

პრეზენტაციაზე მასმედიის წარმომადგენლების აკრედიტაცია ხორციელდება ელექტრონული ფოსტის მისამართზე **csi@mospatr.ru** 15 სექტემბრის 14:00 საათამდე.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/88021/